**ხელშეკრულება №160**
**სახელმწიფო შესყიდვის შესახებ**

*ქ. თბილისი* *06 ივლისი 2017 წელი*

ერთი მხრივ, სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი (შემდგომში–შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის მაია მიმინოშვილის სახით და, მეორე მხრივ, შპს „აიპლიუსი“ (შემდგომში–მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის ლაშა ბანეთიშვილის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

### *1. ხელშეკრულების საგანი*

1.1. ხელშეკრულების საგანია სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის სახსრებით GSM ტელეფონის (CPV32252000) შესყიდვა, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს$^{1}$“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

### *2. შესყიდვის ობიექტი*

2.1. შესყიდვის ობიექტის ჩამონათვალი და ფასები მოცემულია ცხრილში.

| № | *დასახელება* | *საზომი ერთეული* | *რაოდენობა* | *ერთეულის ფასი (ლარი)* | *საერთო ფასი (ლარი)* |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ipone 6s 32GB Space Gray | ცალი | 1 | 1480 | 1480 |
| | ჯამი, დღგ-ს ჩათვლით | | | | 1480 |

### *3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება*

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრა ლარებში.

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულებაა ***1480 (ერთი ათას ოთხას ოთხმოცი) ლარი***, დღგ-ს ჩათვლით.

### *4. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი*

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორებით.

4.2. შემსყიდველი ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხის გადახდას განახორციელებს **საკუთარი სახსრებით**.

4.3. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდების შემდეგ, გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის და წინამდებარე ხელშეკრულების 5.3. პუნქტში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ, არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა.

### *5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები*

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან არაუგვიანეს 2017 წლის 10 ივლისი.

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია ქ.თბილისი, ჯავჯავაძის გამზ. №34.

5.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა და/ან სასაქონლო ზედნადები).

### *6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი*

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

### *7. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია*

7.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

7.2. საგარანტიო ვადა და პირობები ვრცელდება შპს „აიპლიუსი“-ს მიერ გაცემული საგარანტიო ფურცლის წარდგენის შემდეგ, რომელიც მოიცავს შემდეგ პირობებს:

7.2.1. საგარანტიო მომსახურება ვრცელდება:

ა) შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში - ნებისმიერი ქარხნული დეფექტის აღმოჩენის შემთხვევაში მოწყობილობის ახლით შეცვლას, თუ მას არ აღენიშნება ფიზიკური ზემოქმედების კვალი.

ბ) შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან გარანტიის ვადის ამოწურვამდე (მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან 12 (თორმეტი) თვე) - ნებისმიერი ქარხნული დეფექტის აღმოჩენის შემთხვევაში მოწყობილობის უფასო შეკეთებას.

7.2.2. საგარანტიო მომსახურება არ ვრცელდება:

ა) თუ დაკარგულია შპს „აიპლუსი“-ს მიერ გაცემული საგარანტიო ფურცელი ან მასში შეტანილია რაიმე სახის ცვლილება.

ბ) თუ ჩართული მოწყობილობიდან არ იკითხება საიდენტიფიკაციო ინფორმაცია (IMEI/SN და ა.შ.).

გ) თუ მოწყობილობა დაზიანებულია წყლის, ნესტის, დავარდნის, ფიზიკური ზემოქმედების, ან დენის ძაბვის ცვალებადობის შედეგად.

დ) არალიცენზირებული პროგრამული უზრუნველყოფის შემთხვევაში.

ე) თუ მოწყობილობა დაზიანებულია არარეკომენდირებული აქსესუარების ზემოქმედებით.

ვ) თუ მოწყობილობას აღენიშნება შპს „აიპლუსი“-ს სერვის ცენტრის გვერდის ავლით მექანიკური ჩარევის კვალი.

### *8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი*

8.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის ღირებულება.

8.3. შემსყიდველს უფლება აქვს:

- განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.
- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8.5. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

### *9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა*

9.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერის შემდგომ და მოქმედებს 2017 წლის 15 აგვისტომდე, მხარეების მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებამდე.

### 10. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

10.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

10.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველ დაგვიანებულ დღეზე ხელშეკრულების პირობების დამრღვევ მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 0,1 %-ის ოდენობით.

10.3. იმ შემთხვევაში პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.4. მიმწოდებელი ვალდებულია დაფაროს პირგასამტეხლო არაუგვიანეს შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნიდან 10 (ათი) დღის ვადაში.

10.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

### 11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

### 12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

12.3. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

### 13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი მოლაპარაკებების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში ვერ შეძლებენ შეთანხმების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### 14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1. ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სათანადო კონტროლს და ზედამხედველობას, მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ: ბ. დონრვანი (საწყობის გამგე) და დ. მჭედლიშვილი პ.ნ 24001003106 (მძღოლი).

14.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

14.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.

### 15. ინტერესთა კონფლიქტი

15.1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმომწერი და კონტროლის განმახორციელებელი პირები სრულად აკმაყოფილებენ ამ კანონის მოთხოვნას და არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან.

### 16. სხვა პირობები

16.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

16.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

16.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

16.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა. ხელშეკრულების ორი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან და ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

### 17. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

**შემსყიდველი:**

სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი
ქ.თბილისი, მინდელის ქ.№9
ს/კ 202198727
სახელმწიფო ხაზინა
TRESGE22
ხაზინის ერთიანი ანგარიში
ა/ა 707627112

დირექტორი
მაია მიმინოშვილი

**მიმწოდებელი:**

შპს „აიპლიუსი"
ქ.თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №19
ს/კ 405 060 543
ს.ს. „საქართველოს ბანკი"
ბ/კ BAGAGE22
ა/ა GE53BG0000000141974100

დირექტორი
ლაშა ბანეთიშვილი

# მიღება-ჩაბარების აქტი 160

2017 წლის 06 ივლისის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №160-ით
გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შესახებ

*ქ. თბილისი* *07 ივლისი 2017 წელი*

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთი მხრივ, სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის (შემდგომში–შემსყიდველი) წარმომადგენელი და მეორე მხრივ, შპს „აიპლიუსი“ (შემდგომში–მიმწოდებელი) წარმომადგენელი ვადგენთ აქტს მასზედ, რომ ხელშეკრულება №139-ის თანახმად, მიმწოდებელმა შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, მიაწოდა შემსყიდველს:

| № | დასახელება | საზომი ერთეული | რაოდენობა | ერთეულის ფასი (ლარი) | საერთო ფასი (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ipone 6s 32GB Space Gray | ცალი | 1 | 1480 | 1480 |
| | ჯამი, დღგ-ს ჩათვლით | | | | 1480 |

რომლის ჯამური ღირებულებაა ***1480 (ერთი ათას ოთხას ოთხმოცი) ლარი***, დღგ-ს ჩათვლით.

ხარისხის კონტროლის (ინსპექტირების) დროს ხარვეზები არ გამოვლენილა.
მხარეებს ერთმანეთის მიმართ პრეტენზია არ გააჩნიათ, რასაც ვადასტურებთ ხელის მოწერით.

წინამდებარე მიღება-ჩაბარების აქტი სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება № 160-ის შესაბამისად წარმოადგენს უნაღდო ანგარიშსწორების საფუძველს.

**შემსყიდველი:**

სსიპ შეფასებისა და გამოცდების
ეროვნული ცენტრის წარმომადგენელი

ბ. დონდვანი

დ. მჭედლიშვილი პ.ნ 24001003106

**მიმწოდებელი:**

შპს „აიპლიუსი“-ს
წარმომადგენელი